ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი



ჩვენ, ქვემორე ხელმომწერნი, ერთის მხრივ, „კოალიცია თანასწორობისთვის“ წარმოდგენილი შემდეგი ორგანიზაციებით: „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“, „იდენტობა“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „საფარი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (შემდგომში: „კოალიცია“), ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ (შემდგომში: „კოალიციის სამდივნო“) და მეორეს მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველი, (შემდგომში: „მემორანდუმის მხარეები“),

ვაცხადებთ რა, რომ ჩვენი საქმიანობის სფერო, მათ შორის, მოიცავს დისკრიმინაციისაგან ადამიანთა დაცვას,

ვხელმძღვანელობთ რა, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით,

ვთანხმდებით, რომ ჩვენი მიზანია გავაერთიანოთ ძალისხმევა და ვითანამშრომლოთ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველსაყოფად,

ჩვენი ამოცანაა ხელი შევუწყოთ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებას, დისკრიმინაციის აღმოფხვრის სფეროში საქართველოს სახალხო დამცველის როლის გაძლიერებასა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის სფეროში სასამართლო პრაქტიკის განვითარებას.

ამისათვის, ვთანხმდებით, რომ:

სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედებების თაობაზე კოალიციის წევრი ორგანიზაციები საჩივრებს წარადგენენ საქართველოს სახალხო დამცველთან;

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სავარაუდო დისკრიმინაციის საქმის განხილვის პროცესში, იმ პირის თანხმობით რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს,

კოალიციის წევრი ოგანიზაციები საქმეში მესამე პირად ჩართვის მიზნით თხოვნით მიმართავენ სახალხო დამცველს;

კოალიციის წევრი ორგანიზაციების მიერ სასამართლოში წარმოებულ სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეზე სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქციის შესრულების მიზნით თხოვნით მიმართავენ სახალხო დამცველს;

მემორანდუმის მხარეები ერთმანეთს გაუზიარებენ წინადადებებს დისკრიმინაციის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ;

მემორანდუმის მხარეები ერთობლივად განახორციელებენ საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირებას;

მემორანდუმის მხარეები ერთმანეთს რეგულარულად გაუზიარებენ დისკრიმინაციის ფაქტების, მათ შორის არაპირდაპირი დისკრიმინაციის გამოვლენისას შეძენილ გამოცდილებას;

მემორანდუმის მხარეები ერთობლივად განახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის, საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას;

საქართველოს სახალხო დამცველთან კომუნიკაციის გაადვილებისთვის მიზნით, კოალიციის სამდივნო უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას მემორანდუმის მხარეებს შორის და რეგულარული შეხვედრების ორგანიზებას;

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, ვიდრე მემორანდუმის ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას.

მემორანდუმი შედგენილია 7 (შვიდ) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მემორანდუმს ხელს აწერენ:

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი

უჩა ნანუაშვილი
საქართველოს სახალხო დამცველი

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“

თამარ გვარამაძე
აღმასრულებელი დირექტორი

ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“

ქეთი ხუციშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“

ნინო ელბაქიძე
აღმასრულებელი დირექტორი

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“

თამთა მიქელაძე
დირექტორი

„იდენტობა“

ანა რეხვიაშვილი
აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი

„საფარი“

ბაბუცა პატარაია
აღმასრულებელი დირექტორი